ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N 11
28. 10.2022

დღის წესრიგი:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესის მიღება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების და საბუთების მიღების ვადები;
3. ასოცირებული პროფესორის გიორგი შარვაშიძის ივ. ჯავახიშვილის ჯილდოზე წარდგენა;
4. 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭება (მაგისტრატურა);
5. თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა. წარდგინება: ნ.ჯორჯაძის აკადემიური ხარისხის დაზუსტება.
6. ცვლილება სტუდენტთა დაფინანსების კომისიაში.

სხვა

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები წინასწარ გაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს **17** წევრი**;**
საბჭოს თავმჯდომარე**:** პროფესორი თამარ გაგოშიძე
საბჭოს წევრები **:**
<u>ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო დეპარტამენტი*:*</u>
პროფესორები **:**
მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე, ია კუტალაძე

ასოცირებული პროფესორები**:**
თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, შორენა მამუკაძე.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი*:*</u>
პროფესორი**:**
ქეთევან ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორები**:**
ეთერ ღვინერია, რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა 17 წევრი

განიხილეს:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესის მიღება.

საბჭოს თავჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფილის სამსახურის უფროსის არჩევის წესი, რომელიც შედგება შემდეგი მუხლებისგან:
მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ორგანიზაციული საკითხები
მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებების მიღების წესი
მუხლი 3. საარჩევნო ბიულეტენი
მუხლი 4. საარჩევნო ყუთი
მუხლი 5. კენჭისყრის ორგანიზება
მუხლი 6. არჩევნების პროცედურა
მუხლი 7. ხმების დათვლა
მუხლი 8. არჩევნების შედეგების შეჯამება
მუხლი 9. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევის წესი წაკითხულ და განხილულ იქნა საბჭოზე, შენიშვნები და წინადადებები არ ყოფილა.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა: ხარისხის უზრუნველყოფილის სამსახურის უფროსის არჩევის წესის მიღებას.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიღებულ იქნას ფაკულტეტის საბჭოს ხარისხის უზრუნველყოფილის სამსახურის უფროსის არჩევის წესი.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების და საბუთებისმიღების ვადები;

საბჭოს თავჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ წამოაყენა წინადადება გამოცხადდეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები 2022 წლის 3 ნოემბერს. კანდიდატობის მსურველებმა ფაკულტეტის კანცელარიაში ფაკულტეტის საბჭოს სახელზე უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება
- პირადობის მოწმობის ასლი
- ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

კანდიდატობის მსურველების განცხადებების და საბუთების მიღება იწარმოებს 31 ოქტომბრის 10.00 საათიდან 2 ნოემბრის 18.00 საათამდე.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ხარისხის უზრუნველყოფილის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების და საბუთების მიღების ვადებს;
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 3 ნოემბერს; კანდიდატობის მსურველების განცხადებების და საბუთების მიღება იწარმოოს 31 ოქტომბრის 10.00 საათიდან 2 ნოემბრის 18.00 საათამდე;

3. ასოცირებული პროფესორის, გიორგი შარვაშიძის ივ. ჯავახიშვილის მედალზე წარდგენა;

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ასოც. პროფესორმა რუსუდან სანაძემ წამოაყენა ინიციატივა განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის გიორგი შარვაშიძის კანდიდატურა წარდგენილ იქნას ივანე ჯავახიშვილის მედლის მოსაპოვებლად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი რექტორობის პერიოდში საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა გიორგი შარვაშიძის კანდიდატურის წარდგენის ინიციატივას ივანე ჯავახიშვილის მედლის მოსაპოვებლად

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: წარდგენილ იქნას ასოცირებული პროფესორის გიორგი შარვაშიძის კანდიდატურა ივანე ჯავახიშვილის მედლისმოსაპოვებლად.

4. 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების წარდგინება (მაგისტრატურა);

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა მანანა მელიქიშვილმა წარმოადგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი წინამდებარე სახით:

I. მიენიჭოთ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია
სამაგისტრო პროგრამა: „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ბაზუაშვილი მარიამი
2. ყრუაშვილი ანა
3. მაისურაძე მარიამ

II. მიენიჭოს განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულს:

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია
სამაგისტრო პროგრამა: „განათლების ფსიქოლოგია“

დიპლომი წარჩინებით:
1. დედაბრიშვილი ნუცა

III. მიენიჭოთ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია
სამაგისტრო პროგრამა: „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

დიპლომი წარჩინებით:
1. გოგოლაური თამარი

დიპლომი ჩვეულებრივი:

2. ბეჟიტაშვილი ნიკოლოზ
3. შალიკიანი ლილე

IV. მიენიჭოთ განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები
სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

დიპლომი წარჩინების
1. გიორგაძე ანა

დიპლომი ჩვეულებრივი

2. გირკელიძე მარიამი
3. სირბილაძე თამარი
4. ხაბულიანი ხატია

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის წარმოდგენილი სახით აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ მაგისტრის აკადემიური ხარისხი წარმოდგენილი სახით და მიეცეთ შესაბამისი დიპლომები.

5. თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა. წარდგინება: ნ.ჯორჯაძის აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლისა კურსდამთავრებულმა ნინო ჯორჯაძემ, რომელიც ითხოვს მის სახელზე ახალი დიპლომებისა და დანართების მომზადებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია ნინო ჯორჯაძის, სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ნინო გიორგის ასული ჯორჯაძე 1998 წელს (ბრძ. N4/570, 05. 08.1998 წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.

2003 წელს (ბრძ. N4/740, 08. 07. 2003 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძეს მიენიჭა ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის წინა წლის კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით.

2003 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 38 ბაკალავრმა. წარმოგიდგენთ ზემოარნიშნულ კურსდამთავრებულთა ნაწილობრივ (ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის საბიუჯეტო განყოფილების) სიას:

„მიენიჭოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით და მიეცეს შესაბამისი დიპლომი, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის სწავლების, საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით

1. ფანჯიკიძე მარიამ
2. ჯავახიშვილი ევგენია
3. მოსაშვილი ქეთევანი
4. ჯორჯაძე ნინო

დიპლომი ჩვეულებრივი

1. გოგუაძე თინათინ

2. პოპიაშვილი ირინა

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ნინო ჯორჯაძის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემები, კერძოდ, მინიჭებული აკადემიური ხარისხი, საჭიროა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 19 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმში შევიდეს შესწორება და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ნინო ჯორჯაძის აკადემიური ხარისხის დაზუსტების საკითხს.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2003 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 19 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის ნინო ჯორჯაძის აკადემიურ ხარისხად განისაზღვროს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით.
ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ბრძანებაში მითითებულ ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

6. ცვლილება სტუდნტების დაფინანსების კომისიაში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში.

   ფაკულეტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ სტუდენტების დაფინანსების კომისიის წევრი, მთავარი სპეციალისტი ირმა ბოლქვაძე გათავისფლდა სამსახურიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე და მისი ადგილი დაიკავა მარიამ ბაკაშვილმა. შესაბამისად, მის მაგივრად აღნიშნული სასტიპენდიო პროგრამის კომისიაში უნდა იყოს მის ადგილზე მიღებული მარიამ ბაკაშვილი ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

სხვა: პროფესორმა ლალი სურმანიძემ წამოაყენა საკითხი სპეციალისტებისთვის სალომე ჩიტიშვილის, მარიამ კვარაცხელიას და დიმიტრი კონტრიძესთვის მადლობის გამოცხადების შესახებ მათ მიერ უცხოელი პროფესორის ვიზიტის ორგანიზებისას გაწეული სამუშაოსთვის.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: გამოეცხადოთ მადლობა სალომე ჩიტიშვილს, მარიამ კვარაცხელიას და დიმიტრი კონტრიძეს.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიშვილი